**განმცხადებელი :** გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება "აი, ფაქტი"
**თარიღი :** 24-05-2021

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: **:** პრინციპი 1;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები **:** ტ/კ პირველის ჟურნალისტი სოფო ნიაური

**სადავო მასალა :** ტ/კ პირველის შაბათის საინფორმაციო გადაცემაში გავიდა სიუჟეტი ჰაიდელბერგის შესახებ. https://www.facebook.com/tvpirveli/videos/484035812810139/

**ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :**

სოფო ნიაურმა მასალა მოამზადა ჩვენი გამოძიების გამოქვეყნების შემდეგ. მანანა ღოღობერიძის, დავით დოლაბერიძისა და ეთო მიდელაშვილის სტატია ჰაიდლებერგის მიერ კანონის დარღვევის შესახებ "აი, ფაქტის" ვებზე გამოქვეყნდა 21 მაისს (ბმული: https://www.ifact.ge/haidelbergi/). სოფო ნიაურმა ინტერვიუ ჩაწერა მანანა ღოღობერიძესთან, შემდეგ კი აღნიშნულ სიუჟეტში არ გამოიყენა. სიუჟეტში არსად თქმულა, რომ მასალა თავდაპირველად "აი, ფაქტმა" გამოაქვეყნა. ავტორი ჩვენს მიგნებებს ასაღებდა თავისად, ამასთან ერთად დაუშვა ფაქტობრივი შეცდომაც.

პრინციპი 1-ს დარღვევა ფაქტობრივი შეცდომა:

სიუჟეტის ბოლოს, 3:30-დან. ტექსტი: ქუჩას, სადაც ამბოხებული მოსახლეობა ცხოვრობს, რეაბილიტაციას კომპანია "ჰაიდელბერგი" უზრუნველყოფს. ჩვენს მიერ გამოკვლეული ინფორმაციის თანახმად, გზის რეაბილიტაციის ტენდერი მერიამ გამოაცხადა ნახევარ მილიონს ხარჯავს ამ პროექტზე. ჰაიდელბერგი მხოლოდ 1000 მ3 ბეტონს აძლევს უსასყიდლოდ.

პრინციპი 11 (მესამე ნაწილი - პლაგიატი) სიუჟეტში სოფო ნიაური საუბრობს კომპანიის მფლობელებზე. 2:36-დან ჟურნალისტის ტექსტში ნათქვამია: "ირკვევა, რომ 2017 წლიდან ჰაიდელბერგ ცემენტ ჯორჯიას წილებს ბიძინა ივანიშვილის დაარსებული თანაინვესტირების ფონდი ფლობს". სიუჟეტში არ ჩანს, საიდან აქვს ჟურნალისტს ეს ინფორმაცია და ივანიშვილის წილების შესახებ ტექსტიც სტატიიდან აქვს დაკოპირებული. ფეისბუქის პოსტის აღწერაში უწერიათ: ფანჯარას ვერ აღებენ და სარეცხი სახლში ცემენტიანი შეაქვთო. მათი სიუჟეტის რესპონდენტები არ ამბობენ ამას, ეს მონაკვეთიც ჩვენი მასალიდან აქვთ აღებული. 00:20 - დან ჟურნალისტის ტექსტში ნათქვამია, რომ "მწვანე პოლუსის" დამფუძნებლის თქმით, "ჰაიდელბერგი" გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობებს უგულებელყოფს. გზშ-ების პირობები და მათი დარღვევა "აი, ფაქტმა" შეისწავლა, გიორგი ჯაფარიძემ კი მხოლოდ pm ნაწილაკების გაზომვის ექსპერიმენტი ჩაატარა. ჟურნალისტს გზშ-ს პირობების დარღვევის შესახებ ინფორმაცია "აი, ფაქტის" სტატიიდან აქვს, მაგრამ სიუჟეტში ამას ხაზს არ უსვამს.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **: ვეთანხმები**